მეშვიდე ფურცელი

24.06.00. მერის ასაკში (ახლა 12 წლისაა) გოგონებს ხშირად “არასრულფასოვნების კომპლექსი” (“inferiority complex”) უჩნდებათ. მე მგონი მერის სხვა პრობლემა აქვს, აშკარად გამოხატული “სრულფასოვნების” კომპლექსი (“feriority complex”) აქვს. თუმცა რას ერჩი, ალბათ გენების ამბავიცაა (აღარ გავაგრძელებ, თორემ მომხვდება...).

23.02.00. ტელევიზორში “მონა ლიზას” შესახებ ფილმს უჩვენებენ. დიმას ვასწავლით მონა ლიზას ავტორის ვინაობას. ბოლოს გვეუბნება დავიმახსოვრეო, დამანებეთ თავიო. “დონალდო დავინჩის” ეძახის... ამას წინათ ამერიკელი გავიცანით, გვარად მაიკელსონი. დიმამ სასწრაფოდ გადაითავისა ახალი ნაცნობის გვარი, “მაიკლჯეკსონს” ეძახის.

ამას წინათ დიმას პატარა მანქანა აჩუქეს, შიგნით დორაემონი, მულტფილმის საყვარელი პერსონაჟი ზის რულთან. თავად ძალიან გაიხარა და მოუნდა ჩემთვისაც სიურპრიზი გაეკეთებინა, რომ მეც მომწონებოდა ასეთი კარგი სათამაშო. მოიფიქრა რომ მე რომ მოვიდოდი სახლში, სინათლე ჩაექრო, ახალი მანქანა ერთ ხელში დაეჭირა ფანარი მეორეში და ამ ფანრით მანქანა ზემოდან ცერემონიულად გაენათებინა (ალბათ რამე მსგავსი რეკლამაში ნახა?). მოკლედ სრულფასოვანი პერფომანსის დადგმა უნდოდა და მთელი დღე ჩემი მოსვლისათვის ემზადებოდა, ვარჯიშობდა.



მოვედი, აღელვდა, აჩქარდა და... ფანარი ვეღარ იპოვა, დაავიწყდა სად ატარებდა ბოლო რეპეტიციას... ატირდა ცხარე ცრემლით. მოგვიწია მთელ ოჯახს ფანრის ძებნა. ანამ მონახა და დიმას დიდი მადლობაც დაიმსახურა. მერე დიმამ მე მთხოვა ახლად მოვსულიყავი სახლში. მოკლედ მომიწია სახლში მეორედ შემოსვლა და მთელი წარმოდგანის ცოცხლად აღქმა. მეც აღტაცების გამოხატვა არ დავიშურე. დიმამ ძალიან გაიხარა. დიდ ხანს იყო ეს მანქანა დიმას საყვარელი სათამაშო.

22.05.00. ამას წინათ სადილის დროს ჭიქა გატყდა. მე ანდაზა გამახსენდა და გადავწყვიტე რომ ბავშვებს სიბრძნე გავუზიარო.

“- კოკა წყალზე ტყდება“, ღრმამნიშვნელოვნად ვუთხარი და კმაყოფილად გადავხედე. დადი დაინტერესება ვერ დავინახე ამ სიბრძნის აღქმქში და ახსნა დავუპირე.

“- კოკა” რა არის იცით? - ვკითხე.

საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის მერე ანამ “ვიცი”-ო.

”- ჰოდა, მიხვდი აზრს?”

”- არა.”

“- რატომ? კოკა რა არის მითხარი.”

“- როგორ რა? კოკა-კოლა...“

მოდი და აუხსენი ახლა ამათ ქართული ანდაზის სიბრძნე.

10.06.00. იაპონური ძალიან საინტერესო ენაა. ნელ-ნელა შევეჩვიეთ, მთელი ოჯახი ჩემს გარდა უკვე თავისუფლად ლაპარაკობს. ბევრი რამის გამოხატვა იაპონურად უფრო მსახრტლად გამოდის, განსაკუთრების ეს იმ შემთხვევებს შეეხება როცა ვითომ გინდა რომ კითხვას უპასუხო, მაგრამ საპასუხო არაფერი გაქვს, ან რაღაცისათვის განსაკუთრებული მადლობის გამოხატვა გინდა და ა.შ. იმდენად შევეჩვიეთ იაპონურის ჩართვას ლაპარაკში, რომ ვერც კი ვამჩვევთ. ამიტომ ასეთი რაღაცეებიც მოგვდის...

ნატოსთან ერთად საღამოთი ბალკონში ვზივართ და ლუდს ვწრუპავთ (უფრო ნატო წრუპავს, მე ვსვამ). ლაპარაკიც ნელ-ნელა მიგორავს. ჰოდა მიგორდა იქამდე რომ ადამიანებს მეტად განსხვავებული ტემპერამანტი აქვთ. მაგალითისთვის ნატომ ბავშვობის გრემი გაიხსენა. იქ მეზობლად სიდა და ჩიტო ცხოვრობდნენ, ცოლ-ქმარი. ჩიტო სწრაფი ყოფილა, უცებ აკეთებდა ყველაფერს, სიდა კი ძალიან ნელი. ერთხელაც, (აქედან ნატოს პირდაპირი ლაპარაკი):

”- ჩიტო ვენახში მიდიოდა, სიდას დააბარა ქათამი დაკალიო ჩემს მოსვლამდე. მიოარა ვენახი, დაბრუნდა შინ და სიდას ეკითხება, “სიდავ, ქათამი-ვა?” სიდა კი პასუხობს “ ჩიოტტო ნე...” (იაპონური-ქართული, “სიდავ, ქათმის რა ქენი“ - “რა ვიცი აბა...”).

ასე რომ კახეთის სოფლებში ოდითგანვე სალაპარაკოდ იაპონურსაც იყენებდნენ.